

ანგარიში

2022 წლის 10 თვის მანძილზე ვანის მუნიციპალიტეტის

მერიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

ადმინისტრაციისა და შესყიდვების სამსახური

ვანის მუნიციპალიტეტის მერია სტრუქტურულად შედგება 9 სამსახურისაგან, რომელიც მოიცავს 72 საშტატო ერთეულს და 15 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულია მერის 21 წარმომადგენელი და 40 მერის წარმომადგენლის ასისტენტი.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 9 ა(ა)იპ-ი.

მერიაში დანერგილია მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს საქმიანობების ავტომატიზირებული ელექტრონული სისტემა. (MSD).

2022 წლის 10 თვის მონაცემებით მერიაში შემოსულია სულ 13491 კორესპონდენცია, მათ შორის: მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები, რომლებიც ძირითადად დაკმაყოფილებულია. ასევე შემოსულია სხვადასხვა ხასიათის განცხადებები. აქედან სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით დაკმაყოფილდა 687 განცხადება და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების 730 შუამდგომლობა. გამოცემულია მერის 1169 სამართლებრივი აქტი.

ჩატარდა მერიის თანამშრომელთა შუალედური შეფასება. შეფასდა 64 საჯარო მოხელე. 4 არ შეფასებულა დადგენილი წესის შესაბამისად.

აპრილის თვეში ჩატარდა დახურული კონკურსი საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე ჯამრთელობი დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურში. დასაქმდა ერთი საჯარო მოხელე - სოციალური მუშაკი.

მომზადებულია და საჯარო ბიუროში გაგზავნილია 2022 წლის პროფესიული განვითარების გეგმა, რომლის შესაბამისად გადამზადებულია მერიის 19 პროფესიული საჯარო მოხელე. მერიის ინიციატივით მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დასამტკიცებლად წარდგენილია 20 დადგენილება და 31 განკარგულება.

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ აღძრულია 5 სამოქალაქო სარჩელი, სამშენებლო კომპანიების მიმართ, გადაუხდელი ჯარიმების თაობაზე. გაგზავნილია განმეორებითი გაფრთხილების წერილები იმ სუბიექტებთან, რომელთაც დაკისრებული აქვთ სახელმწიფოზე მიყენებული ზარალის ანაზღაურება. მერია მიწის აღიარების საკითხთან დაკავშირებით, მოპასუხედ გამოვიდა 4 ადმინისტრაციულ საქმეზე. ერთი დასრულდა მერიის სასარგებლოდ, ორი გადაიდო მიწის სისტემური რეგისტრაციის დასრულებამდე, ერთი კი, შესაბამისი კომისიის შექმნის შემდეგ, გადაწყდა მოქალაქის სასარგებლოდ.

ქვეყნის ზოგადი წესების უგულვებელყოფის გამო, გაფრთხილება მიეცა ადმინისტრაციული ერთეულების მერის ორ წარმომადგენელს.

კოორდინაციის განყოფილების მიერ დახმარების მიზნით სისტემატურად გროვდება ინფორმაციები ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული პრობლემების შესახებ. სხვა საკითხებთან ერთად ყოველი კვირის ოთხშაბათს, საქმიან თათბირზე კეთდება ანალიზები მერის წაწმომადგენლების მონაწილეობით.

ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ ყველა სოფელში ჩატარდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების განხილვა, რისთვისაც საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 განკარგულებით გამოიყო 58 000 ლარი, რაც მოსახლეობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით გამოიყენება გამოკვეთილი პრიორიტეტების გათვალისწინებით.

პერიოდულად ეწყობა საჯარო შეხვედრები სოფლებში, დასახლებულ პუნქტებში.

ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა 2022 წლის 14 იანვარს მერის ბრძანებით და განისაზღვრა 540 150 ლარით. გეგმაში შეტანილი ცვლილებების განხორციელების შედეგად 2022 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ შეადგინა 12 376 129 ლარი. მათ შორის: საკუთარი სახსრებიდან შემოსულობები 1 120 703. 2022 წლის 10 თვის მონაცემებით ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული იყო 46 ელექტრონული ტენდერი. აქედან: არ შედგა 12; შეწყდა 1; გამოვლინდა 33 გამარჯვებული, რის საფუძველზეც გზების, შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულებები ღირებულებით 6380014,88 ლარი.

გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმდა 88 ხელშეკრულება. მათ შორის: მონეტარული ზღვრების დაცვით საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე ღირებულებით 68078,91 ლარი. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების ფარგლებში 4 ხელშეკრულება ღირებულებით 4350 ლარი.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვა 8473 ლარი. ინტერნეტ მომსახურება 8400 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის წესით მასალების შესყიდვა 12394,40 ლარი, ხოლო ელექტრონული ტენდერის საშუალებით 78447 ლარი.

საწვავის შესყიდვის მიზნით გაფორმდა 11 ხელშეკრულება ღირებულებით 131615,10 ლარი. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გაფორმდა 9 ხელშეკრულება, ღირებულებით 29199,75 ლარი. მათ შორის: მზრუნველობამოკლებულ პირთა კვებითი უზრუნველყოფის მიზნით სასადილოს მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა 1852,50 ლარი. (1852,50 ლარი ერთი თვის მომსახურება).

კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 14 ხელშეკრულება. მათ შორის: სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურებაზე ღირებულებით 249508,90 ლარი.

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში შემოვიდა და შემოწმდა სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან 5 წერილი; თავისუფალი განცხადება მოქალაქეებისგან 14; მერის წარმომადგენლებისგან 2 ინფორმაცია. 5 ბენეფიციარის საქმეზე მოხდა გადამისამართება ქვემდებარეობის მიხედვით.

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვიან ოჯახებს შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით ეწევათ ყოველთვიურად ფინანსური დახმარება. საანგარიშო პერიოდში ჩარიცხულია 12500 ლარი. ბენეფიციარებთან სისტემატურად მუშაობს სოც მუშაკი.

საზოგადოებას სისტემატურად მიეწოდება სხვადასხვა სახის ინფორმაციები - ვანის მუნიციპალიტეტის მერიის და მერის ოფიციალური ფეისბუქ გვერდების, ასევე მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებგვერდის “vani.gov.ge” -ის მეშვეობით. მუნიციპალიტეტს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ინტერნეტ საინფორმაციო სააგენტოებთან „topnews.com.ge” და “guardian”

საბიუჯეტო - საფინანსო სამსახური

ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2021 წლის 29 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N 24 დადგენილებით. შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 8750,0 ათასი ლარით, გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 9300,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 550,0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად შემოსულობები დაზუსტდა 18337,8 ათასი ლარის, გადასახდელები 21316,6 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 2978,8 ათასი ლარის მოცულობით.

შემოსულობების წლიური გეგმა 18337,8 ათასი ლარით განისაზღვრა, ბიუჯეტში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებულია 13980,2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 76,2%-ს შეადგენს. მათ შორის:

- ❖ გადასახადების 2022 წლის საპროგნოზო მოცულობა 8275,0 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებულია 7019,2 ათასი ლარი, წლიური გეგმის 84,8% .
- ❖ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტების 2022 წლის გეგმა 9382,7 ათას ლარს შეადგენდა. მუნიციპალიტეტს ფაქტობრივად მიღებული აქვს 6587,3 ათასი ლარის მოცულობის გრანტი, წლიური გეგმა 70,24%-ით შესრულდა.
- ❖ სხვა შემოსავლების 2022 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენდა 430,1 ათას ლარს, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 246,5 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 57,3%.
- ❖ არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულმა შემოსულობებმა 127,2 ათასი ლარი შეადგინა, წლიური გეგმის - 250,0 ათასი ლარის 50,9%.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების გეგმა შეადგენდა 21316,6 ათას ლარს. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 15720,0 ათასი ლარი, რაც წლიურად დამტკიცებული შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის 73,7%-ია.

- ❖ შრომის ანაზღაურების ხარჯმა შეადგინა 2218,4 ათასი ლარი, წლიური გეგმის 2684,5 ათასი ლარის 82,6%.

- ❖ საქონლისა და მომსახურების მუხლით მიიმართა 1240,9 ათასი ლარი, გეგმის - 1431,2 ათასი ლარის 86,7%.
- ❖ პროცენტის მუხლში ასიგნებების გეგმიური და ფაქტობრივი მაჩვენებელი 27,5 ათასი ლარია.
- ❖ სუბსიდიების გეგმიური ასიგნებების მოცულობა შეადგენდა 4527,9 ათას ლარს, საკასო შესრულება შეადგენს 3720,3 ათას ლარს, გეგმა 82,2%-ით შესრულდა.
- ❖ გრანტების მუხლით მიიმართა 11,3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 100,0% ია.
- ❖ სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გამოყოფილი იყო 810,0 ათასი ლარი, ფაქტობრივად დაიხარჯა 671,3 ათასი ლარი, გეგმის 82,9%.
- ❖ სხვა ხარჯებზე გეგმით მიიმართა 128,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად 104,1 ათასი ლარი, გეგმის 81,3%.
- ❖ არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა განსაზღვრული იყო 11640,7 ათასი ლარით, საკასო შესრულებაა 7670,6 ათასი ლარი, გეგმის 65,9%.
- ❖ ვალდებულების კლების მუხლში ასიგნებების გეგმიური და ფაქტობრივი მაჩვენებელი 55,6 ათასი ლარია.

ბიუჯეტის შესრულება პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

- ❖ მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯებზე წლიური ბიუჯეტით 3722,5 ათასი ლარი მიიმართა. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება 3102,0 ათას ლარს შეადგენს, რაც პერიოდის გეგმის 83,3%-ია.
- ❖ ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის დაფინანსებაზე წლიური ბიუჯეტით 11460,2 ათასი ლარი მიიმართა. 2022 წლის საკასო შესრულება 7547,0 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 65,9%-ია.
- ❖ დასუფთავებისა და გარემოს დაცვის მიმართულებით 2022 წლის ბიუჯეტში 630,0 ათასი ლარი გამოიყო. საკასო შესრულებაა 534,7 ათასი ლარი, წლიური გეგმის 84,9%.
- ❖ განათლების სფეროს ასიგნებების 2022 წლის მოცულობა 2715,0 ათასი ლარით იყო განსაზღვრული. საკასო შესრულება 2257,3 ათას ლარს შეადგენს, წლიური გეგმის 83,1%-ს.
- ❖ კულტურის, სპორტის, ახალგაზრდული და რელიგიის სფეროს ასიგნებების 2022 წლის გეგმა 1755,9 ათასი ლარით განისაზღვრა. დაფინანსების საკასო შესრულება 1441,1 ათას ლარს უტოლდება, წლიური გეგმის 82,1% ს.
- ❖ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების მიმართულებით 2022 წლის ბიუჯეტში 960,0 ათასი ლარი გამოიყო. საკასო შესრულებაა 785,9 ათასი ლარი, წლიური გეგმის 81,9%.

- ❖ ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით 2022 წლის ბიუჯეტში 73,0 ათასი ლარი გამოიყო. საკასო შესრულება 52,0 ათას ლარს შეადგენს, წლიური გეგმის 71,2%-ს.

ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვა

ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურმა 2022 წლის 01 ნოემბრამდე განახორციელა 19 ერთეული უძრავი ნივთის პრივატიზება, აქედან 6 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და 13 ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის.

ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების პრივატიზებიდან სულ შემოვიდა 111595 (ას თერთმეტიათას ხუთას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი.

სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გაიცა, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე ადმინისტრაციული შენობის პირველ და მეორე სართულზე განთავსებული 100 კვმ ფართი. წლიური საიჯარო ქირის ღირებულებამ შეადგინა 1100 (ათას ასი) ლარი.

სამსახურმა 2022 წლის დასაწყისში მოამზადა სრიგპ-ის საგრანტო პროექტი - „უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით - გადიდში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და მასთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია“. რომელმაც გაიმარჯვა ევროკავშირის მიერ დასაფინანსებელ კონკურსში. პროექტის სრული ღირებულებაა 2 572 774 ლარი.

ასევე 2022 წლის სექტემბერში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად შემუშავებული იქნა ინტერ მუნიციპალური პროექტი „მდინარე რიონზე არსებული ბორანისა და ვანის ისტორიულ-ტურისტულ ღირშესანიშნაობებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია“. აღნიშნულმა პროექტმაც გაიმარჯვა კონკურსში და მომავალი წლის დასაწყისში დაფინანსებული იქნება მისი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, რომლის ღირებულება შეადგენს 80000 ლარს, ხოლო პროექტის სრული ღირებულებაა 2 400 000 ლარი.

სივრცითი მოწყობა, ინფრასტრუქტურა და არქიტექტურა

ვანის მუნიციპალიტეტში 2022 წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურის მოვლა-განახლებისათვის სხვადასხვა ფონდების მიერ დაფინანსებულია 102 პროექტი, ლოკაციათა მიხედვით 114. საერთო ღირებულებით 11 262 341 ლარი. პროექტები დაფინანსების და კატეგორიების მიხედვით დაჯგუფდა 4 პროგრამად. კერძოდ:

1. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით დაფინანსდა 19 პროექტი, 31 ლოკაცია. სამუშაოთა განხორციელებისთვის გამოყოფილია 5 639 872 ლარი, აქედან თანადაფინანსებაა 398 980 ლარი. დასრულებულია 11 პროექტი.
2. საგანმანათლებლო სისტემის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 3 საჯარო სკოლა. ძირითადად განხორციელდა სახურავის, სეპტიკის, იატაკის და ელ. გაყვანილობის რეაბილიტაცია და მოწყობა. საერთო ღირებულებით 77 347 ლარი. სამუშაოები დასრულებულია.

3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოსახლეობაზე მინიჭებული უფლების მიხედვით მუნიციპალიტეტის სოფლის მცხოვრებთა მიერ შერჩეული პროექტების რიცხვი დაჯგუფდა და გაერთიანდა 69 პროექტში, რგპფ-ის ფონდის მიერ პროგრამა დაფინანსდა 580 000 ლარით. თანადაფინანსების ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 64 488 ლარი. დაკონტრაქტებულია 61 პროექტი. დასრულებულია 36 პროექტი.
4. საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია გარდამავალი 2021-2022 წლებში განსახორციელებელი 11 პროექტი გამოყოფილია 5 260 686 ლარი. 2021-2022 წლის სახელშეკრულებო ღირებულებაა 4 898 797 ლარი. დასრულებულია 9 პროექტი, 2 მიმდინარეობს.
5. „განახლებული რეგიონები“-ს პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს თამარ მეფის და თავისუფლების ქუჩების სრული რეაბილიტაცია, პროექტი გარდამავალია და გაგრძელდება მომავალ წლებში, რომელიც შემდგომ ეტაპებზე მოიცავს ქალაქის სხვა ქუჩებს.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პარალელურად სამსახური მუშაობს მერიის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ სხვადასხვა პროგრამის მიხედვით შემოსულ განცხადებებზე.

1. საანგარიშო წელს დაზიანებული საცხოვრებელი სახლის თაობაზე სამსახურმა შეისწავლა მოქალაქეთა 68 განცხადება. აქედან: ფინანსური დახმარება გაეწია 25 ოჯახს თანხით 44 000 ლარი; 9 ოჯახს მიენიჭა სათანადო კატეგორია და შუამდგომლობა გაეწია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროში; გეოლოგიურ შესწავლაზე ჩაინიშნა და შესწავლილი იქნა 39 ოჯახი, აგრეთვე გეოლოგიურად შესწავლილია საავტომობილო გზის 5 მეწყერული ლოკაცია.
2. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო მშენებლობის განხორციელებისავის მომზადდა და შესაბამისი წესის მიხედვით გაიცა 7 თანხმობის წერილი და 37 სანებართვო მოწმობა.

ზედამხედველობა

მიმდინარე წელს დასრულდა 3 გარდამავალი პროექტი - ქალაქ ვანის, სალომინოსა და ბზვანის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების რეაბილიტაციის შესახებ.

მიმდინარე წლის პირველ ეტაპზე დაიწყო და განხორციელდა შემდეგი პროექტები:

ქალაქ ვანში შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, (4 მიმართულებით) ჯამური ღირებულებით 479962 ლარი;

ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (3 მიმართულებით) ჯამური ღირებულებით 483796 ლარი.

ბზვანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (2 მიმართულებით) ჯამური ღირებულებით 728292 ლარი.

დინაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (2 მიმართულებით) ჯამური ღირებულებით 483889 ლარი.

ციხესულორის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (3 მიმართულებით) ჯამური ღირებულებით 307000 ლარი.

შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (2 მიმართულებით) ჯამური ღირებულებით 332892 ლარი.

მეორე ეტაპი (წლის მეორე ნახევარი).

დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია ღირებულებით 94627 ლარი.

ამაღლების ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (2 მიმართულებით) ჯამური ღირებულებით 417397 ლარი.

ზედავანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია ჯამური ღირებულებით 213159 ლარი.

სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში ჯვარისერის - ბონკოს უბანში ჯვარისერის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ღირებულებით 222428 ლარი.

გორას ადმინისტრაციულ ერთეულში გიორგაძეების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ღირებულებით 177826 ლარი.

ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში ტობანიერი-კუმუბოურის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ღირებულებით 221 943 ლარი.

რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დასრულდა ზედა ვანის, მუქედის, ძულუხის, სალხინოს, ფერეთას, ზეინდრის, შუამთის, ყუმურის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, ასევე დასრულდა დიხაშხოს საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში დაუსრულებელია სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში გზისა და ქალაქ ვანის ტერიტორიაზე 2 სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მთლიანად ჯამური თანხა შეადგენს 4898797 ლარს.

დასრულდა 3 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, ჯამური თანხა -- 77347 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მუნიციპალიტეტის სოფლის მცხოვრებთა მიერ შერჩეულ იქნა 69 პროექტი. რგპვ-ის ფონდის პროგრამით დაფინანსდა 580000 ლარით, თანადაფინანსების ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 644488 ლარი. დაკონტრაქტებულია და მიმდინარეობს 61 პროექტი, დასრულებულია 36 პროექტი.

განახლებული რეგიონების პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ქალაქ ვანში, თამარ მეფისა და თავისუფლების ქუჩების რეაბილიტაცია, პროექტი გარდამავალია და შემდგომ ეტაპზე მოიცავს სხვა ქუჩებსაც.

ჯამრთელობის დაცვა და სოციალური საკითხები

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N 28 დადგენილებით 2022 წლისათვის დამტკიცდა 15 სოციალური პროგრამა. მიმდინარე წლის 16 მარტის N 11 , 16 ივნისის N 15 და 14 სექტემბრის N 19 დადგენილებებით პროგრამებში შევიდა მთელი რიგი ცვლილებები. 2021 წელთან შედარებით განხორციელდა გარკვეული სიახლეების დანერგვა. კერძოდ: ამოქმედდა ახალი „მარტოხელა მშობელთა დახმარების პროგრამა“. ცვლილებები შევიდა „ ქრონიკული დაავადების მქონე პირთა“, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა“, „ სტუდენტთა დახმარების“ და“ ბინის ქირით უზრუნველყოფის“ პროგრამებში.

მიმდინარე წლის ბიუჯეტით სოციალური პროგრამებისათვის გამოყოფილი იყო 755 000 ლარი, გაზრდის შედეგად კი განისაზღვრა 815 000 ლარის ოდენობით.

დამტკიცებული პროგრამებით განსაზღვრული თანხების განაწილების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, სამსახურის ინიციატივით მომზადდა და გამოიცა ვანის მუნიციპალიტეტის მერის 33 ბრძანება.

საბიუჯეტო სახსრები გადანაწილდა მოქმედი პროგრამების მიხედვით:

1. ახალშობილთა ოჯახების დახმარების (წლიური ბიუჯეტი-75000 ლარი, დაკმაყოფილდა 177 ბენეფიციარი, თანხით 64 640 ლარი);
2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების (წლიური ბიუჯეტი - 30 000 ლარი, დაკმაყოფილებულია 63 ოჯახი, თანხით 28 880 ლარი);
3. სამედიცინო დახმარების (წლიური ბიუჯეტი - 367 900 ლარი, დაკმაყოფილებულია 684 ბენეფიციარი, თანხით 313 909 22 ლარი);
4. ქრონიკული დაავადების მქონე პირთა -(წლიური ბიუჯეტი 84 000 ლარი, ამჟამად პროგრამით სარგებლობს 46 ბენეფიციარი, გახარჯულია 68 500 ლარი);
5. შშმ პირთა დახმარების (წლიური ბიუჯეტი -70 000 ლარი, დაკმაყოფილებულია 227 ბენეფიციარი, თანხით 66 300 ლარი, შშმ ბავშვთა დღის ცენტრი“ნათელი მომავალი“ ფინანსდება ყოველთვიურად 500 ლარის ოდენობით);
6. მზრუნველობამოკლებულთა კვებითი უზრუნველყოფა (წლიური ბიუჯეტი 45 000 ლარი, უფასო სასადილოთი სარგებლობს 36 ბენეფიციარი. სააღდგომოდ საკვები პროდუქტებით დახმარება გაეწია 40 ოჯახს, საანგარიშო პერიოდში გახარჯულია 34 435 72 ლარი);
7. სტიქიით დაზარებულთა დახმარება (წლიური ბიუჯეტი 44 000 ლარი, დაკმაყოფილებულია 24 ბენეფიციარი, თანხით 43 500 ლარი);
8. დღეგრძელთა (100და მეტი წლის) დახმარება - (წლიური ბიუჯეტი 7 000 ლარი, დაკმაყოფილებულია 5 ბენეფიციარი, თანხით 5 000 ლარი);
9. ვეტერანთა დახმარება (წლიური ბიუჯეტი 13 000 ლარი, დაკმაყოფილებულია 35 ბენეფიციარი, თანხით 12 700 ლარი);
10. მარჩენალდაკარგულ პირთა დახმარება - (წლიური ბიუჯეტი 23 000 ლარი, დაკმაყოფილებულია 87 ბენეფიციარი, თანხით 19 250 ლარი);
11. სტუდენტთა დახმარება - (წლიური ბიუჯეტი 28 000 ლარი, დაკმაყოფილებულია 55 ბენეფიციარი, თანხით 27 500 ლარი);
12. ძალადობის მსხვერპლთა დახმარება - (წლიური ბიუჯეტი 2 300 ლარი, დაკმაყოფილებულია 8 ბენეფიციარი, თანხით 2 300 ლარი);
13. ბინის ქირით უზრუნველყოფა - (წლიური ბიუჯეტი 6 500 ლარი, საანგარიშო პერიოდში ბინის ქირით დაფინანსება/თანადაფინანსება გაეწია 5 ოჯახს, გაიხარჯა 4 720 ლარი);
14. სარიტუალო დახმარება - (წლიური ბიუჯეტი 13 700 ლარი, დაკმაყოფილებულია 40 ბენეფიციარი, თანხით 11 750 ლარი);
15. მარტოხელა მშობელთა დახმარება (წლიური ბიუჯეტი 5 600 ლარი, პროგრამით სარგებლობს 5 ბენეფიციარი, გახარჯულია 3 980 ლარი).

სულ საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 1 497 ბენეფიციარს, თანხით 707 364 94 ლარი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა

ვანის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 19 სამედიცინო დაწესებულება, რომლებშიც ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მეშვეობით ხორციელდება 8 სახის სახელმწიფო პროგრამა.

2022 წლისთვის სავალდებულო მუნიციპალური პროგრამების ბიუჯეტი შეადგენს 110000 (ასათიათას ლარს), ხარჯვითი ნაწილი საანგარიშო პერიოდისათვის კი 88990,0 (ოთხმოცდარვაათასცხრასოთხმოცდაათი) ლარია.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მონაწილეობს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში, რომლის ფარგლებში მიღებული დაფინანსება შეადგენს 29800,0 (ოცდაცხრაათასრვაასი) ლარს.

დაფიქსირებულია 12 სახის ინფექციური დაავადების შემთხვევა.

რაც შეეხება ახალი სახის კორონავირუსს, 2022 წლის 10 თვის მდგომარეობით რეგისტრირებულია 10427 დადასტურებული შემთხვევა, გარდაიცვალა 44, აქტიური შემთხვევაა 23, კორონავირუსზე ტესტირება ჩატარდა 44393 პიროვნებას.

საანგარიშო პერიოდში ანტირაბიულ კაბინეტს დახმარებისათვის მიმართა 327 -მა დაზარალებულმა.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა სახის აცრა.

კულტურა-სპორტი

გარკვეული სამუშაოებია ჩატარებული კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა კუთხით. ეპიდ სიტუაციის გამო შექმნილი პრობლემების მიუხედავად, მოხერხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიებების ორგანიზება -ჩატარება. მათ შორის:

გაიმართა საახალწლო ღონისძიება, როგორც ადგილობრივი ანსამბლებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების, ასევე მოწვეული მუსიკალური ჯგუფების მონაწილეობით.

აღინიშნა ტიციან ტაბიძის დაბადების 127 წლისთავი; ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები; „მაცხოვრის ამალეების“ დღესასწაულზე ტრადიციულად გაიმართა საცხენოსნო დოლი.

„ვანელობის“ სახალხო დღესასწაულზე მუნიციპალიტეტის მერის მიერ საჯარო სკოლების 17 წარჩინებულ კურსდამთავრებულს გადაეცა ფასიანი საჩუქრები და დიპლომები, ასევე გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით ხანგრძლივი და წარმატებული პედაგოგიური საქმიანობისათვის დაჯილდოვდნენ ამალეების საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ციცინო ჩახავა, ინაშაურის საჯარო სკოლის დირექტორი ზირაქი ჯანელიძე და შუამთის საჯარო სკოლის მენტორის სტატუსის მქონე პედაგოგი აზა სართანია.

მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში დაინერგა სიახლე. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით,

მუნიციპალიტეტისა და ფოლკლორის ცენტრის დაფინანსებით შეიქმნა ქართული ტრადიციული გალობისა და ხალხური საკრავების ვანის სალოტბარო სკოლა.

საერთაშორისო ფესტივალის - „თეატრალური იმერეთი-2022“ - ფარგლებში ვანის თეატრის მიერ წარდგენილმა სპექტაკლმა - „ანტიგონე“ - მიიღო პრიზი საუკეთესო რეჟისურისათვის.

ვანის ფოლკლორულმა კოლექტივებმა და იდივიდუალურმა შემსრულებლებმა მონაწილეობა მიიღეს ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალში;

ვანის მხიარულთა და საზრიანთა გუნდმა „სევიდუმ“ მონაწილეობა მიიღო იუმორისტულ ფესტივალში „ქართული ლიგა“.

პატარებისათვის სხვადასხვა დროს გაიმართა სპექტაკლები ნიღბების თეატრის, საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანებისა და თანამედროვე ქართული თეატრის მიერ.

კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 520,0 ათას ლარს., ადგილზე შემოსული თანხა კი 6,3 ათას ლარს. ღონისძიებებში დაიხარჯა 18,0 ათასი ლარი. საკუთარი შემოსავლებიდან შეძენილი იქნა 4,8 ათასი ლარის ღირებულების მუსიკალური ინსტრუმენტები.

საინტერესო ღონისძიებები იქნა ჩატარებული ა(ა)იპ სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრისადმი დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულებში.სხვადასხვა თემატიკის ღონისძიებები ჩატარდა, როგორც ბიბლიოთეკებში, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ.მათ შორის- ცეკვის წრის მოსწავლეები მონაწილეობდნენ ქობულეთსა და ქუთაისში გამართულ ფესტივალზე.

განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდა ქ. ვანის მუსიკალური სკოლა მრავალი საინტერესო ღონისძიებით, ფესტივლებსა და სოლო-კონცერტებში აქტიური მონაწილეობით,სადაც ბავშვებმა დაიმსახურეს II და III ხარისხის დიპლომები, სკოლის გუნდი, რომელიც მონაწილეობდა ქ. ქუთაისში გამართულ გალა კონცერტზე, დაჯილდოვდა დიპლომით.ასევე სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელი მ. ლორთქიფანიძე დაჯილდოვდა დიპლომით.

სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდა გაერთიანებული საანგარიშო კონცერტი სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით.

მოკრძალებული ღონისძიებები გაიმართა კალისტრატე ცინცაძის,კორნელი კეკელიძისა და გიორგი მიგვაშვილის სახლ-მუზეუმებში.

ვანის ისტორიის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის მიერ გამოცემული იქნა ჟურნალ „მატიანის“ ნომერი, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 2400 ლარი.

სპორტული ღონისძიებები გაიმართა სპორტის საერთაშორისო, საერთაშორისო ოლიმპიზმისა და ბავშვთა ათლეტიზმის მსოფლიო დღეებთან დაკავშირებით.

ჩატარდა მუნიციპალური ტურნირი ფრენბურთში ,მინი ფეხბურთი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებს და ზეინდრის ადმინისტრაციული ერთეულის უზნებს შორის. სასკოლო კვირეულის ფარგლებში გაიმართა სასკოლო ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში. გამარჯვებული გახდა ამაღლების საჯარო სკოლის გუნდი.

მნიშვნელოვანი ფაქტი იყო საქართველოს, იმერეთისა და ვანის ჭადრაკის ფედერაციების ინიციატივით გამართული ტრადიციული „ნინო ხურციძის მემორიალი ჭადრაკში“, მასში მონაწილეობდნენ იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და აჭარის წარმომადგენლები (8-10-12

წლის გოგონები და ჭაბუკები). გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და საპატიო სიგელებით. მოჭადრაკე ნანა იოსელიანმა მოყვარულ მოჭადრაკეებთან ერთად ჩაატარა ერთობლივი თამაშის სეანსი.

გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდი“ ურთიერთობს საჯარო სკოლის მოსწავლეებთან.

საფეხბურთო კლუბი „სულორი-ვანი“

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „სულორი-ვანი“ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა 255 000 ლარით, ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან კი 150 000 ლარით.

მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული დაფინანსებიდან, საანგარიშო პერიოდში, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 197 686 ლარი.

ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი თანხიდან ხარჯი შეადგენს 115 687 ლარს.

საფეხბურთო გუნდი ასპარეზობს მე-4 ლიგაში. ასევე წარმატებით ღებულობს მონაწილეობას შეჯიბრებებში ბავშვთა 3 ასაკობრივი ჯგუფი.

სისტემატურად ხდება კლუბისა და სტადიონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

კლუბი „აიეტი“

ა(ა)იპ სარაგბო კლუბის „აიეტი“ 2022 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 195000 ლარით. 10 თვის მანძილზე გახარჯულია 164115 ლარი.

სარაგბო კლუბმა „აიეტმა“, რომელშიც 44 მორაგბე ირიცხება, მე-6 გუნდური ადგილი დაიკავა მეორე წრის ჩემპიონატში, მასში დასავლეთ საქართველოს 10 გუნდი მონაწილეობდა.

რაც შეეხება ჭაბუკთა „ბ“ ლიგის ასაკობრივ ჯგუფს (28 მორაგბე) მე-8 გუნდური ადგილი დაიკავა.

ამჯერად მიმდინარეობს რეგიონალური მეორე ლიგის ჩემპიონატი. 6 თამაშიდან 4 გამარჯვებით დასრულდა და ვანის „აიეტი“ გუნდურ მე-3 ადგილს იკავებს.

სარაგბო კლუბის მიერ შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში გახსნილი იქნა ორი ასაკობრივი საფესტივალო ჯგუფი, რომელშიც 31 მორაგბე ირიცხება (2012-2013; 2014-2015 წლებში დაბადებულები).

2012-2013 წლებში დაბადებულები უკვე მონაწილეობენ საფესტივალო შეხვედრებში. მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ ვანის „აიეტის“ გუნდის წევრები, როგორც პერსპექტიული მორაგბეები, გადაყვანილნი არიან ქ. ქუთაისის „აიას“ გუნდებში. ორი მორაგბე- შენგელია ლუკა და გიორგი ბურკაძე „აიას“ ძირითად გუნდში, ხოლო გიორგი ადეიშვილი „აიას“ ჭაბუკთა „ა“ ლიგის გუნდში.

ა(ა)იპ სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება

განსაკუთრებული წარმატებები აქვთ სპორტსმენებს ჭიდაობა „სამბოში“, მძლეოსნობასა და ჭადრაკში.

სასპორტო დაწესებულებების გაერთიანებების მძლეოსანმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს „ახალციხის ღია ჩემპიონატში“ 5 ასაკობრივ კატეგორიაში, თბილისში გამართულ „საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში“, „საქართველოს ღია პირველობა მძლეოსნობაში“, „საქართველოს ღია ეროვნულ ჩემპიონატსა“, და „საქართველოს ღია ახალგაზრდულ ჩემპიონატში“. მათ დაიკავეს პირველი, მეორე და მესამე საპრიზო ადგილები.

წარმატებები მოიპოვეს ჭიდაობა „სამბოში“ კალაქ ქუთაისში გამართულ ღია პირველობაზე, ასევე თერჯოლაში გამართულ ტურნირში, მათ ინდივიდუალურად დაიკავეს პირველი, მეორე და მესამე ადგილები, ასევე გუნდური პირველი ადგილი.

განსაკუთრებული შედეგებით გამოირჩევა ვანელი მოჭადრაკეები. მათ მონაწილეობა მიიღეს „იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირში“, კალაქ ფოთში გამართულ XV საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალში „ნანა ალექსანდრიას თასი-2022“, ფესტივალში „ბათუმის მერიის თასი 2022“. აღნიშნულ ღონისძიებებში პირველი საპრიზო ადგილები მოიპოვა ვ. შაპოვალოვმა.

საბავშვო ბაღების გაერთიანება

ვანის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საბავშვო ბაღი 530-მდე აღსაზრდელით, რომლის ფუნქციონირებისათვის ყველა ხარჯს აფინანსებს მუნიციპალიტეტი. უზრუნველყოფს ასევე მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას. საბავშვო ბაღებში მოეწყო საგაზაფხულო და საშემოდგომო ღონისძიებები, ჩატარდა გამოსაშვები ზეიმები. საბავშვო ბაღი დაამთავრა 251 აღსაზრდელმა, სასკოლო ასაკის ბავშვებს „საბავშვო ბაღების გაერთიანებამ“ გადასცა საჩუქრები და სერტიფიკატები.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მეორე ეტაპი დაიწყო 2022 წლის 19 სექტემბერს. აღსაზრდელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 662-ს. სააღმზრდელო პროცესი დაიწყო კვების ახალი მენიუთი. გაიზარდა მოთხოვნადი და ბავშვთა კვებისთვის აუცილებელი პოდუქტების (საქონლის ხორცი, ქათმის ფილე, ყველი) ნორმები. საბავშვო ბაღებს გადაეცათ სამზარეულო ინვენტარი.

ღიხაშხოს საბავშვო ბაღმა სწავლა განაახლა სრულად რეაბილიტირებულ ახალ შენობაში, რომელიც აღჭურვილია ახალი ინვენტარით და კეთილმოწყობილი აქვთ ეზო.

საბავშვო ბაღების 2022 წლის ბიუჯეტი შეადგენს 2,020,000 ლარს, 10 თვის მანძილზე გახარჯულია 1,641,900 ლარი.

ვანის ტურიზმის ცენტრი

ა(ა)იპ ტურიზმის ცენტრმა საანგარიშო პერიოდში განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები. მათ შორის:

კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა და კულტურული აქტივობები, როგორცაა „ვანელობა“, „ტიციანობა“, „გალაკტიონობა“ რეგიონალური სახალხო ღონისძიებები, ტურისტული ფესტივალები, ტურისტული გამოფენა, ახალი ფოლკლორული ფესტივალის პროექტის განხორციელებისათვის ზრუნვა („დუცხუნის ნადურის კვალდაკვალ“), ჯანსაღი ცხოვრების სტილის პოპულარიზაცია და ა. შ. მსგავსი ღონისძიებები ორიენტირებულია ფართო სამიზნე ჯგუფებზე და ეფექტურია ტურისტების შემოდინების მაღალ რიცხვზე.

განახლებული არქეოლოგიური მუზეუმის ამოქმედების შემდეგ შეინიშნება გაზრდილი ინტერესი კულტურულ-ტურისტული პოტენციალის მიმართ, აქედან გამომდინარე „ვანის ტურიზმის ცენტრის“ მთავარ სტრატეგიას წარმოადგენს კულტურულ-ისტორიულ პროექტებში ჩართულობა.

სხვადასხვა პლატფორმაზე დადებითი გამოხმაურება მოჰყვა ტურიზმის ცენტრის მონაწილეობას „სახალხო საახალწლო ღონისძიებაში“.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ DMO ინიციატივით, რომლის წევრი არის ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრი“, „იმერეთის კულტურული ღონისძიებების ერთიანი კალენდრის“ შექმნა, რაც გულისხმობს თითოეული მუნიციპალიტეტის ტურისტული სამსახურების მიერ ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობას ტურისტული შინაარსის პროექტებით, რათა უკეთ გაიცნონ თითოეული მუნიციპალიტეტის კულტურულ-ტურისტული შესაძლებლობები და ინფორმაციის გაზიარებით მოხდეს გამომწერებში ცნობადობის ამაღლება.

ტურიზმის ცენტრი სტუმრის სტატუსით მონაწილეობდა:

ქალაქ ბათუმში გამართულ რიგით მე-13 „ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენაზე“, რომლის მიზანი გახლდა ადგილობრივი ტურიზმის განვითარებაში წვლილის შეტანა, ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაცია საერთაშორისო დონეზე ინოვაციებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციების გაცვლა, ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება და ა. შ. აღნიშნულმა ღონისძიებამ მონაწილეებს საშუალება მისცა ადგილობრივი ტურისტული დესტინაციების შესახებ ინფორმაციის გაზიარების, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის, მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას, ტურისტული ნაკადის ზრდას და რეგიონებს შორის ახალი ტურისტული მარშრუტების გაჩენას;

ასევე მონაწილეობდა აგრო ტურისტულ ფესტივალში „ჭიათურა - 2022“; „ქართული ჩაის ფესტივალი გურიაში“; რაჭაში „გასტრონომიის პოპულარიზაციის მიზნით გამართულ „გემო-ფესტივალში“; სახალხო ზეიმში „ტყიბულ-ქალაქობა“; ქალაქ ქუთაისში „ვერიკოს ბალის“ ტერიტორიაზე გამართულ ქართველი მეწარმეების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთებისა და აგროპროდუქტების გამოფენაზე; ჭიათურაში ტურისტულ ფესტივალზე „adventure 2022“; ქუთაისში გამართულ გამოფენა-გაყიდვაზე „ღვინის დღეები საქართველოში“.

რაც შეეხება ტელეშოუებთან თანამშრომლობას, ბევრი საინტერესო სიუჟეტი მომზადდა ვანზე, ეს პროცესი ახლაც გრძელდება. ცენტრს არ დასჭირვებია კომერციული სიუჟეტის შეკვეთა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ვანი მონიშნულია, როგორც ახალი, მნიშვნელოვანი ტურისტული დესტინაცია.

მიმდინარე წელს ვანის ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო ლატვიის რესპუბლიკის აღმასრულებელ დირექტორთა ასოციაციის დელეგაცია. სტუმრებმა მოისმინეს ინფორმაცია ვანის ტურისტული პოტენციალის შესახებ და მოინახულეს ღირსშესანიშნავი ადგილები.

ასევე ვანს სტუმრობდა ლიუეტუვადან და ესტონეთიდან ტურისტული კომპანიებისა და ავიაკომპანიების წარმომადგენლები. მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა პორტუგალიური მედიის წარმომადგენლებს, ბლოგერებსა და ფოტოგრაფების პრეს-ტურს. ინფო - ტურზე დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გზები.

საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრმა“ გადაიღო მინი საიმიჯო ვიდეო რგოლი „ვანის ულამაზესი ფლორა და ფაუნა,“ ასევე საიმიჯო ფოტო სესიები ვანელი მეწარმეების, შემოქმედებით სფეროში ჩართული ვანელების, ახალი ტურისტული ლოკაციების, კვების ობიექტების და განახლებული ინფრასტრუქტურის შესახებ. უზრუნველყო გამოფენის ფოტოსესია.

გასტრონომიული ტურიზმის ბიზნეს ასოციაციამ საიმიჯო ფილმი გადაიღო ყველა მუნიციპალიტეტში და მათ შორის ვანშიც, ის განთავსდება ყველა ტურისტულ პლატფორმაზე და ტურისტულ გამოფენა- ბაზრობებზე.

რაც შეეხება ტელევიზიებთან თანამშრომლობას მიმდინარე წელს მომზადდა შემდეგი სიუჟეტები:

საზოგადოებრივი მაუწყებელი - გადაცემა „ფერმა“ ადგოლობრივი ფერმერი ქალის „ქეთევან თომეიშვილის აგროისტორია“;

ტელეკომპანია რუსთავი 2 - გადაცემა „დილა მშვიდობისა საქართველო“ - გადაიღო სიუჟეტი ვანელი შემოქმედი ქალბატონის ქეთევან მეფარიშვილის ცხოვრებისეული ისტორიის შესახებ; განახლდა მუშაობა პრობლემების პორტალის ახალ ვერსიაზე. შეიქმნა ახალი პორტალი, პასუხისმგებელ პირად ჩვენი მუნიციპალიტეტიდან შეირჩა ნ. ლილუაშვილი.

ტელეკომპანია პოსტ. ტვ. - წლის განმავლობაში მოამზადა რამდენიმე სიუჟეტი ვანის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ, მათ შორის: ახალი ტურისტული ობიექტების შესახებ. ცენტრის ერთ-ერთ აქტივობად შეიძლება ჩაითვალოს ციფრული მარკეტინგის განვითარება. ამ კუთხით DMO imereti-ის მიერ შეიქმნა ვანის ელექტრონული ლიცენზირებული ტურისტული მარშრუტი, რომელიც განთავსდა საერთაშორისო ვებ.გვერდებზე. მოგზაურს შეუძლია საკუთარ ტელეფონში ჩამოტვირთოს უფასო აპლიკაცია.

ცენტრის მიერ განთავსებულია სტენდები მაღალი აქტივობის მქონე ტურისტულ ობიექტებზე.

ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაციისა და ტურისტთა მოზიდვის მიზნით ძირითად წყაროდ გამოიყენება ინტერნეტი და სოციალური ქსელები.

გასულ წელს გაჟღერდა ინფორმაცია „ტაპაყუროს ტბის“ რეაბილიტაციის შესახებ. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროექტის შემუშავება.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა „იმერული ღვინის კონკურსი“, შეფასდა 50-მდე ღვინის ნიმუში. სხვა იმერელ მეღვინეებთან ერთად ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა ვანელი მეღვინე გოგი ხურციძე. ასევე არანაკლებ მნიშვნელობის პროექტში, ვანის ტურიზმის ცენტრის ორგანიზებით, აქტიურად ჩაერთნენ ვანელი მეღვინეები თემურ ხურციძე, გოგი ხურციძე და მათე ლილუაშვილი.

ცენტრის ინიციატივით ფართო საზოგადოებას გაეცნო სამი ვანელი ხელოვანი ქალბატონი - ნინა ძაგნიძე, ქეთევან მეფარიშვილი და ნათია დვალიშვილი. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ქ. მეფარიშვილის ნამუშევრებმა „მინიატურული იმერული ოდეები“.

იმერული გასტრონომიული ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით, DMO იმერეთის დაფინანსებით, გასტრონომიული ტურიზმის ბიზნეს ასოციაციამ იმერეთის ყველა რაიონში და მათ შორის ვანში გადაიღო ვიდეო რგოლები, რომელიც განთავსდება ყველა ტურისტულ პლატფორმაზე.

გრძელდება ტურისტული პროდუქტების ისტორიების შექმნა. საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ვანს 2 ახალი ტურისტული ობიექტი შეემატება. ამჟამად მიმდინარეობს ვანის ტყე-პარკის რეაბილიტაცია და ტურიზმისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მშენებლობა.

ევროპის მემკვიდრეობის დღეების ფარგლებში ა(ა)იპ ვანის ტურიზმის ცენტრისა და ქალაქ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ორგანიზებით გაიხსნა ერთობლივი გამოფენა პერფორმანსი „ძველი კოლექციების ახალი სიცოცხლე, ექსპონატები გვიამბობენ- ვანის ეთნოგრაფიული და კულტურულ-სოციალური ყოფის პერიპეტიები“.

კომუნალური გაერთიანება

ა(ა)იპ ვანის კომუნალურ გაერთიანებას 2022 წლის 10 თვეში ბიუჯეტიდან გამოყოფილი ჰქონდა სუბსიდია 534,8 ათასი ლარი, რაც მთლიანად იქნა ათვისებული. საწვავზე ფასების მატებამ მოითხოვა დამატებითი ხარჯების გამოყოფა მერიისაგან. საკითხის უზრუნველყოფამ განაპირობა ორგანიზაციის შეუფერხებელი მუშაობა.

საანგარიშო პერიოდში დაიწყო სოციალურად დაუცველთა სახელმწიფო პროგრამის განხორციელება, სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებულია 413 ადამიანი. აღნიშნული პროგრამის რეალიზების შედეგად წესრიგდება ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრები, ცენტრალური გზები, სასაფლაოები და ა.შ.

ლიკვიდირებული იქნა რამდენიმე უნებართვო ნაგავსაყრელი. ორგანიზაციას მერიისგან გადაეცა „ფოტინის“ მარკის თვითმცლელი ავტომანქანა, რამაც შექმნა შესაძლებლობა დამატებით რამდენიმე უბნის მომსახურების (ზენობანი, სალხინოსა და დიხაშხოს ნაწილი, დედათა მონასტერი, ლედენარი).

პრობლემად რჩება საყოფაცხოვრებო ურნების სხვადასხვა მიზეზით მწყობრიდან გამოსვლის ფაქტები. ამჯერად დაზიანებულია 16 ურნა, დგას ახალი ურნების შექმნისა და ძველის ახლით ჩანაცვლების აუცილებლობა .

სამხედრო

სამხედრო სამსახურის მიერ 2 ეტაპად (საგაზაფხულო-საშემოდგომო) მიმდინარეობს წვევამდელთა, რეზერვისტთა აღრიცხვა და შეიარაღებულ ძალებში გაწვევა.

საგაზაფხულო გაწვევას დაექვემდებარა 198 წვევამდელი, გასაწვევი იყო 25 წვევამდელი. გაწვეულია 8.

იანვრიდან აპრილის ჩათვლით მიმდინარეობს 17 წლის მოქალაქეთა პირველადი სამხედრო აღრიცხვა, რომელსაც ექვემდებარებოდა 137 მოქალაქე. აღრიცხვაზე აყვანილია 126 მოქალაქე.

საშემოდგომო გაწვევა მიმდინარეობს. გაწვევას დაექვემდებარა 259 წვევამდელი. გასაწვევია 22.

უნდა აღინიშნოს, რომ გადავადებით ისარგებლა წვევამდელთა სხვადასხვა კატეგორიამ, მათ შორის მღვდელთმსახურებით „გირჩი“ 21-მა წვევამდელმა. (საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში 9 წვევამდელმა, მიმდინარე საშემოდგომო პერიოდში კი 11-მა).

გაიცა რეზერვისტის 39 დროებითი მოწმობა.სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლდა 20 რეზერვისტი, საკონტრაქტო სამსახურში ჩაირიცხა 7, სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 14 , შ.ს.ს. კი 18. სამხედრო აღრიცხვიდან მოიხსნა 74 რეზერვისტი.

შიდა აუდიტი

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ წლიური სამოქმედო გეგმის მიხედვით 2022 წელში განსაზღვრული იყო სამი აუდიტორიული შემოწმება.

ა(ა)იპ ვანის კომუნალური გაერთიანება;

ვანის მუნიციპალიტეტის მერია - „საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება“ (პროგრამის კოდი 02 01)

ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანება.

სამსახურის ხელმძღვანელის ინფორმაციით, ეპიდემიოლოგიურმა სიტუაციამ ხელი შეუშალა დაგეგმილ ღონისძიებათა ვადებში დაწყებას, განხორციელდა მხოლოდ ერთი ობიექტის ა(ა)იპ კომუნალური გაერთიანების აუდიტორული შემოწმება . ამ ეტაპზე დაწყებულია გეგმით გათვალისწინებული - ვანის მუნიციპალიტეტის მერია - „საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება“ (პროგრამის კოდი 02 01) სისტემური აუდიტის ჩატარებისათვის დაგეგმვის ეტაპი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ა(ა)იპ კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, ასევე ზეინდრისა და სალომინაოს ადმინისტრაციულ ერთეულებში კი ინსპექტირება დისციპლინური გადაცდომის ფაქტებზე.

მერია მზადაა უზრუნველყოს გაატაროს ეფექტური ღონისძიებები და ხელი შეუწყოს სამსახურს უკეთ განვითარებისა და საქმიანობის სრულყოფისადმი.

საქართველოს მთავრობისა და ხელისუფლების მხარდაჭერა, ჩვენი ძალისხმევა გვამლევს მყარ საფუძველს მუნიციპალიტეტის მრავალმხრივი განვითარებისათვის.